გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(135) 2017 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

ჩვენი ტრადიციებიდან

ახალი წელი და საქართველო

ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. მეშვიდე საუკუნემდე ახალ წელს აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე - სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს. მარტში ახალი წლის აღნიშვნა გამართლებულიც იყო. რაღა მაინც და მაინც შუა ზამთარში? წელიწადი ხომ გაზაფხულით იწყება?! რაც შეეხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება - ქრისტეშობისთვეც მეტყველებს.

მეკვლეს ფენომენი

ზოგადად ახალი წელი კარგი საშუალებაა "ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად პირობითი ზღვარი რომ გაავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კამპანიისთვის ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთანაც თავს ყველაზე კარგად იგრძნობს.

გარდა ამისა, ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა,რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს.

წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება, თუმცა მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რიტუალია ჩასატარებელი.

მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია - ეს ღირსება ახალი წლის პირველ წუთებშივე დაიცვას. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება.

ელგუჯა იოსელიანი, ეთნოგრაფი: "თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა კვალიც არის და კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, "ფეხზეა" დამოკიდებული.

ქართველი კაცი უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხიო -ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და "კეთილი და ბოროტი" ფეხის ცრუ რწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. თუმცა,გამომდინარე იქიდან,რომ ღირსეულ ოჯახს სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია

დასასრული მე-5 გვერდზე

წელი გვქონდეს შემატების

ძველი წელი გავაცილეთ, ღმერთმა ახლით გაგვახაროს,
ყველა ცუდი, უკეთური, შარშანდელ წელს გავატანოთ!
ღმერთს შევთხოვოთ: მიტევება ყველა ჩვენი შეცოდების,
ახალ წელსაც აღარ გვქონდეს წარსულივით შეცდომები,
გზა გვიჩვენოს, როგორ შევძლოთ ქართველებმა ერთად დგომა,
უამისოდ, ჭეშმარიტად, არაფერიც არ გამოვა!
წელი იყოს მშვიდობის და ჩვენი ერის გაბრწყინების,
დაჩეხილი საქართველოს აღდგენის და გამრთელების!
გაგვიმრავლდეს ფუძე-კერა, აგვიმაღლდეს სახლის ჭერი,
გუგუნებდეს „მაყრული“ და „იავნანას“ ტკბილი ხმები –
ჩვილის სისხლს და გონებაში ქართულ გენის ჩამწვეთები!
ვაჟკაცები გაგვიმრავლოს და სალომე ასულები,
თავის ნიჭით, შემართებით, ოლიმპოზე ასულები.
ზენაარმა არ მოგვაკლოს პური ჩვენი არსობისა,
ქვევრ-მარანი მაჭრიანი, დაღვინება ზედაშისა.
გვახსოვდეს ვისი „გორის“ ვართ, უფალმა რა დაგვანათლა,
თავის წილხვედრი ქვეყანა ქართველებს რად ჩაგვაბარა.
წელი გვქონდეს შემატების, ხალხმა წელში აიწიოს,
მთის და ბარის სალოცავნი, ქრისტე ღმერთი შეგვეწიოს.

გ. დაბახიშვილი

მილოცვა

შობა-ახალ წელს გილოცავთ, ჩვენო თანამემამულენო!

სიკეთის, სიხარულის, აღმშენებლობისა და უკეთესი მომავლის საწინდარი ყოფილიყოს 2017 წელი თქვენი ოჯახებისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებლისათვის.

ფრიდონ ბურდული
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

გიორგი გზირიშვილი
საგარეჯოს მუნიციპალტეტის გამგებელი;

რომან მუჩიაშვილი
საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან.

„ნუხელის ბიჭი დაბადებულა...“



შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცნო ცენტრის ნეონატოლოგი **ლეილა ოდიკაძე** ახალდაბადებულ 2017 წლის მეკვლეებთან.

მუნიციპალური გვერდი

საკრებულოს სხდომა
განიხილეს და დაამტკიცეს 2017 წლის ბიუჯეტი მოისმინეს ანგარიშები

2016 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **თინათინ კაბილაშვილმა.** მან უპირველესად ვრცლად მიმოიხილა გასული,მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი და შემდეგ საკრებულოს 2017 წლის ბიუჯეტი გააცნო. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა*** **8 მილიონ 618600 ლარით** იქნება წარმოდგენილი. შემოსავლები 8518600 ლარით განისაზღვრა, გადასახდელები – 3250000 ლარით, გრანტები – 4098600 ლარით, სხვა შემოსავლები – 1170000 ლარით, ხარჯი – 6675200 ლარს შეადგენს. შრომის ანაზღაურებაზე მიმართული იქნება ერთი მილიონ 540500 ლარი,რაც შეეხება საქონელსა და მომსახურებას – 1406100 ლარით განისაზღვრა. სუბსიდიები – 3170000 ლარით, საოპერაციო სალდო – 1843400 ლარით, არაფინანსური აქტივობის ცვლილება – 1828000 ათასი ლარი, მთლიანი სალდო – 15,4 ათასი ლარი, ვალდებულებების ცვლილება – 15,4 ათასი ლარი, პროცენტი – 1 ათასი ლარი.

2017 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***შემოსულობები*** 8618600 ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება ქონების გადასახადს, ამ შემთხვევაში იგი 2550000 ლარის ოდენობით იქნება წარმოდგენილი,საიდანაც გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგენს 100000 ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) – 710000 ლარს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის ოდენობა 1600000 ლარითაა დაგეგმილი, მათ შორის 1100000 ლარი ფიზიკური პირებიდან, ხოლო 500000 ლარი – იურიდიული პირებიდან, 200000 ლარი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან.

2017 წლის გრანტები 4098600 ლარით განისაზღვრა, გათანაბრებითი ტრანსფერები – 3888600 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი – 210000 ლარით, სხვა შემოსავლები – 1170000 ლარით, შემოსავლები პროცენტებიდან შეადგენს 80000 ლარს.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 500000 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები – 74000 ლარი, მათ შორის მოსაკრებელი – 30000 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერისტორიის დასუფთავებისათვის – 40000 ლარი.

რაც შეეხება არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებას, იგი 6 ათას ლარს შეადგენს.

ჯარიმები, სანქციები და საურავები 500000 ლარითაა განსაზღვრული.

არაფინანსური აქტივების კლება – 100000 ლარი

არაწარმოებული აქტივები – 100000 ლარი.

წლიური პროგნოზები გადასახდელების კუთხით – 8 618600 ლარით განისაზღვრა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის მითითებით რესპუბლიკაში მოხდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება 10%-ით, რამაც გავლენა იქონია ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შემცირებაზე. ამ თანხამ მთლიანობაში 2072800 ლარი შეადგინა. მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯებმა 541200 ლარი შეადგინა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებმა კი – 1440200 ლარი.

2017 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სარეზერვო ფონდი 75000 ლარით განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტში თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაფინანსებაზე 106,5 ათასი ლარი მიიმართება, საიდანაც, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას 106,5ათასი ლარი მოხმარდება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გასულ წელს ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე მიმართული იყო 600000 ლარი, 2017 წლის ბიუჯეტით კი ამ მიმართულებით 2820800 ლარია მიმართული. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციისათვის 1567300 ლარი. რაც შეეხება დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსებას – აქ 490000 ლარი იქნება გამოყოფილი. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის და მის მოვლა-შენახვაზე ბიუჯეტში 53500 ლარია გათვალისწინებული. რაც შეეხება გარე განათების მოწყობას, მის რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას მოხმარდება 283 ათასი ლარი, სკვერებისა და ბარების მოწყობაზე – 70000 ლარი, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია – 20000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებებზე, რომლებიც, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გულისხმობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებას – 107 000 ლარი, სანიაღვრე და სარწყავი არხების აღდგენის ხარჯები კი 20000 ლარი. კვლავ 170000 ლარით დაფინანსდება აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“.

მუნიციპალიტეტში განათლების სფეროს ასიგნება 2017 წლის ბიუჯეტში 1770000 ლარით განისაზღვრა. მათგან სკოლამდელი დაწესებულებები 1770000 ლარით დაფინანსდა, აიპ „სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების“ სუბსიდიამ 1650000 ლარი შეადგინა, ხოლო სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდა – 50000 ლარი, აიპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“ – 70000 ლარი.

მუნიციპალიტეტში კულტურისა და სპორტულ ღონისძიებებზე 2017 წლის ბიუჯეტით 1046100 ლარი იქნება მიმართული. მათ შორის კი თანხა ასე განაწილდება:

აიპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა“ – 37000 ლარი, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“ – 455000 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში გასამართი სპორტული ღონისძიებების ხარჯი 22000 ლარს შეადგენს, აიპ „ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ – 114000 ლარი, სხვა ხარჯები კულტურის ხაზით – 12000 ლარი, აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანება“ – 361200 ლარი, საგამომცემლო საქმიანობა (გაზეთის „გარეჯის მაცნე“) – 24000 ლარი, ხოლო ახალგაზრდულ ღონისძიებებზე მიმართული იქნება 20,9 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 2017 წელს 802400 ლარით დაფინანსდება. მათ შორის სოფლის ამბულატორიების მომსახურება 6600 ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 80000 ლარით, ომის მონაწილეთა დახმარების და სარიტუალო ხარჯები – 6000 ლარით, უფასო კვების პროგრამა – 170000 ლარით, მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 1800 ლარით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სახლის მცხოვრებთა კომპენსაცია – 37500 ლარით, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა – 450000 ლარით, ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა – 10000 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში – 18000 ლარით, დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა – 3000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა 12,5 ათასი ლარით, ახლადდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა – 2000 (აქ ერთჯერადად წელიწადში ერთხელ გაიცემა 100 ლარი მარტოხელა დედებზე.

საკითხის მოსმენის შემდეგ თანამომხსენებლის ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის*** **ნიკოლოზ ვაჭრიშვილის** მიერ განმარტებული იქნა, რომ აღნიშნული კომისიის სხდომაზე მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვისას იყო ცალკეული წინადადებები, შენიშვნები, რაც ერთობლივად იქნა გათვალისწინებული და დღეს საკითხი სხდომაზე სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი.

2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ირგვლივ შეკითხვები დასვა საკრებულოს წევრმა ზურაბ ქურთიშვილმა, რომელსაც მომხსენებელმა გასცა პასუხი. საკრებულომ 25 ხმით ორის წინააღმდეგ მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

სხდომაზე ასევე მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების განყოფილების უფროსის **სოფიკო შაქარაშვილის** მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. საკითხის მოსმენის შემდეგ საკრებულომ აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 714000 ლარით დაფინანსება დაამტკიცა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის*** **ალეძანდრე მეზვრიშვილის,** ***საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ნიკოლოზ ვაჭრიშვილის, სოციალურ, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის*** **მევლუდ დუჩიძის,** ***ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის*** **ედგარ მეფარიძის** 2016 წლის წლიური ანგარიშები. სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული მათ მიერ გაწეული მუშაობა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის*** **ნიკოლოზ ვაჭრიშვილის** მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 იანვრის №2 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“. აღნიშნული საკითხის მოსმენის შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს სხდომის მუშაობა შეაჯამა ***საკრებულოს თავმჯდომარემ ფრიდონ ბურდულმა.***

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** და ***საქართველოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი*** **რომან მუჩიაშვილი**.

ანგარიშით მოსახლეობის წინაშე

30 იანვარს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საგარეჯოს საზოგადოების წინაშე 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდგა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი.**

ანგარიშის წარდგენის შემდეგ მან უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

3 იანვარი, 2017წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. გამგებლის წარმომადგენლებმა ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. როგორც გაირკვა, წინასაახალწლო დღეებში გარკვეული პრობლემები შეექმნათ ბადიაურისა და უჯარმის მოსახლეობას. ბადიაურში კვლავ დაზიანდა სასმელი წყლის მილი, ხოლო უჯარმაში ტემპერატურის დაწევამ გამოიწვია მილსადენში წყლის გაყინვა.

10 იანვარი, 2017წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე საინტერესო ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე იმ პროექტებზე და ფერმერთა ხელისშემწყობ პროცესებზე, რომლებიც უკავშირდება მრავალწლიანი მცენარეების გაშენებას.

თათბირზე, ასევე, მწვავე მსჯელობა მოჰყვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელებისა და მოსახლეობის მხრიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებით შექმნილ პრობლემებს.

სოფლის მეურნეობა-2017

მომავლის სტრატეგია

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია მთელი რიგი სტრატეგიული ამოცანები, მათ შორისაა:

1) კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების ხელშეწყობა.

2) აგრარულ დარგში მეტი ცოდნის ხელმისაწვდომობა;

3) წარმოების ზრდის დასახელება;

4) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება.

მიზნების მისაღწევად კი მთელი წლის განმავლობაში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტიანობის გაზრდა;

2. მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება, შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოვება-მოდერნიზაცია.

3. წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.

4. ფერმერთა ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

5. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, დივერსიფიცირებულ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

• **პირველადი** სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტიანობის გაზრდა

• **მოსავლის** აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება, შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოება-მოდერნიზაცია

• **წარმოებაში** საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

• **ფერმერთა** ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება

• **საექსპორტო** ბაზრების დივერსიფიკაცია; დივერსიფიცირებულ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა

პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტიანობის გაზრდა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების ხარისხობრივ და რაოდენობრივ, მათ შორის, მეხორცული და მერძეული საქონლის ჯიშებისა და ნათესი კულტურების ჯიშების გაუმჯობესებას, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ამაღლებას.

მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება, შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოება-მოდერნიზაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შემუშავებული პროგრამებით, ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების პროდუქციისათვის დამატებული ღირებულების შემქმნელი ტექნოლოგიების დანერგვას; შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას.

წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა

უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან საწარმოების, მათ შორის, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის მხარდაჭერა. ყველა საწარმო, რომელსაც გადამამუშავებელი და შემნახელი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამით ფინანსდება, დანერგავს ISO-22000-ს ან HACCP-ის საერთაშორისო სტანდარტს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სტანდარტის დანერგვის 80%-ს აფინანსებს, აქედან 30%-ს სახელმწიფო, ხოლო 50%-ს დონორი ორგანიზაცია ფარავს, ბენეფიციარს მხოლოდ 20%-ის გადახდა უწევს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „დანერგე მომავალის“ და პროგრამა „ქართული ჩაის“ ბენეფიციარებსაც დაეხმარება GLOBAL GAP-ის პირველადი წარმოების სტანდარტის დანერგვაში. AL GAP-ის შემთხვევაში, 50%-ს ბენეფიციარი აფინანსებს, ხოლო 50%-ს დონორი (USAID/REAP) ორგანიზაცია.

ფერმერთა ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული სამმართველოებისა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების გაძლიერებით უზრუნველყოფს ფერმერთათვის აუცილებელი ცოდნის მიწოდებას როგორც აგრონომიული და ვეტერინარული, ისე აგრობიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; დივერსიფიცირებულ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (**DCFTA**) ამოქმედებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გახსნილია მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, იზრდება აზიურ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოპულარობა და, შესაბამისად, ექსპორტი.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყენებილი იქნება შემდეგი ინსტრუმენტები:

ერთიანი აგროპროექტი, რომელიც გულისხმობს იაფ საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობის, აგროდაზღვევის, მექანიზაციის ხელმისაწვდომობის პროგრამებს და საგრანტო დაფინანსების სპეციალიზებულ მოდელებს.

2017 წლიდან დაიწყება ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი შეღავათიანი საკრედიტო რესურსების გამოყენებით მიზნობრივი პროგრამების განხორციელება. საინვესტიციო სესხები გაიცემა მემცენარეობის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული საწარმოებისთვის. ინვესტიციების სრულად განხორციელების შემდგომ, ყოველწლიურად შეიქმნება დამატებით 100 მილიონი ლარის მოცულობის დამატებული ღირებულება.

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, 2017 წლიდან დაიწყება მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებს ფერმერებისთვის ტექნიკის შეძენისა და მექანიზაციის სერვისის მიმწოდებელთა ძლიერი რგოლის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

საგრანტო დაფინანსების სპეციალიზებული მოდელების გამოყენებით: გაშენდება ახალი ბაღები (პროექტი „დანერგე მომავალი“), მოხდება არსებული ხეხილის ბაღების განახლება (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პროექტი „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზრებზე წვდომა და მოქნილობა“ (AMMAR), რომელიც აქტიურ ფაზაში 2017 წლიდან შევა (პროექტის 2 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 6,5 მლნ ლარით), მოსავლის აღების შემდგომი დამზადება-გადამუშავება (გადამამუშავებელი და შემნახველი ახალი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი), ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება (ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“)

ფერმერთა კოოპერაცია

განხორციელდება კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას შეუწყობს ხელს. (დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, კოოპერატივებში მოზიდული კაპიტალი 29.2 მლნ ლარია).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესურსების გაერთიანებაში დაეხმარება საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე მოთხოვნადი ისეთი პროდუქტების მწარმოებლებს (მათ შორის თაფლის), რომლებიც ცალკე ძალებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, ხოლო გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შედეგების მიღწევა.

ასევე დაგეგმილია ალპური მესაქონლეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები.

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

განხორციელდება სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის მასშტაბური პროექტები

მარკეტინგული მხარდაჭერა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს შეუწყობს ფერმერთა აგრობაზრების და ბაზრობების, ფესტივალების (ღვინისა და ყველის) ორგანიზებას.

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ორგანიზებას გაუწევს დეგუსტაციებს, კონკურსებს, ღვინის საერთაშორისო კონფერენციებს, გამოფენების და მედია-ტურების ჩატარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2017 წელს დაგეგმილია მარკეტინგული ღონისძიებები ჩინეთში, იაპონიაში, სინგაპურში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ბელგიაში, საფრანგეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

დაგეგმილია ეროვნული მარკეტინგული სააგენტოს შექმნა, რომელიც განახორციელებს ქართული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების განვითარება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს რეგიონული სამმართველოებისა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომელთა გადამზადებას, სერვისების მარკეტინგს, რაც გაზრდის ფერმერთა მიმართვიანობას. ყოველივე აღნიშნული, წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდას უზრუნველყოფს.

როგორია ხარისხი

ინფრასტრუქტურული პროექტები-2016

ის, რაც გამოსწორებადია

საბარეჯოს მუნიციპალიტეტში 2016 წელს მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. რეგიონული განვითარების ფონდის, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით გაკეთდა, მოიხრეშა, მოასფალტდა გზები, ამოიცვალა სასმელი წყლის დაზიანებული მილები, მოწესრიგდა სათავე-ნაგებობები, დაიდგა ჭაბურღილები, კეთილმოეწყო მრავალბინიანი სახლების სახურავები, გაკეთდა გარე განათება, სოფელ უდაბნოში განხორციელდა სასმელი წყლის უმნიშვნელოვანესი მშენებლობა, მაგრამ კვლავაც გასაკეთებელია ბევრი რამ...

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ყოველთვის აქტიურად ადევნებს თვალყურს თითოეულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოს, ზოგჯერ მოწონებით, ზოგჯერ კრიტიკული თვალით, აქვთ „შენიშვნებიც“, თუმცა მშენებლების მიერ შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობას და შესრულებული სამუშაოს ხარისხს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური*** ახორციელებს, რომლის ამოცანას წარმოადგენს ზედამხედველობის განხორციელება მშენებარე შენობა-ნაგებობებზე, წარმოებული სამშენებლო ნაგებობებზე, კონსტრუქციების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

თუ როგორ ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები გვესაუბრება ამ სამსახურის უფროსი **ზურაბ ივანელაშვილი:**

– ჩვენი სამსახურის ფუნქციები იმ პასუხისმგებლობებს მოითხოვს, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების კანონის დარღვევით მიმდინარე ფაქტების გამოვლენას, დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებას ან დემონტაჟს ითვალისწინებს. ამასთან, შეგვიძლია მათ მიმართ კანონით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენება, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე კონტროლი. აქვე იგულისხმება სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა და ა.შ.

– მოდით, საუბარი დავიწყოთ იმ საკითხით, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აინტერესებს. კერძოდ, როგორ ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების შემოწმება, მონიტორინგი, არის თუ არა აღმოჩენილი ხარვეზები მშენებლობის პროცესში და ა.შ.

– მოგახსენებთ. ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ მუდმივად ხდება სამშენებლო ობიექტების შემოწმება და მონიტორინგი, რაზედაც დგება ობიექტის შემოწმების აქტი. 2016 წლის პერიოდში დაწერილია 260 შემოწმების აქტი. მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება როგორც რეგიონულ და „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებზე, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სამშენებლო საქმეებზე. მოგეხსენებათ, ჩვენი სამსახურის უპირველესი ფუნქციაა მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა. სწორედ ამიტომ, ჩვენი სამსახურის სპეციალისტები მშენებელს სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას მიუთითებენ ხარვეზზე და მიმართავენ მას მოთხოვნით – ოპტიმალურ ვადაში გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

დაწერილი გვაქვს 6 შეთანხმების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

№1(135) 2017 წელი, 1-15 იანვარი

გაგრძელება

როგორია ხარისხი

ინფრასტრუქტურული პროექტები-2016

ის, რაც გამოსწორებადია

აქტი (პროექტის შეუსაბამობა არსებულ საკითხებზე). ესენია: წერეთლის ქუჩის ბეტონის საფარი, ქურდიანის ქუჩის ბეტონის საფარი, ქეთევან წამებულის ქუჩის, სოფელ შიბლიანის, დოდაშვილის ქუჩის, ლამბალოთულარის დამაკავშირებელი გზის ასფალტის საფარები.

კონკრეტულად მინდა დაგისახელოთ მაგალითები ამ კუთხით. ასე, მაგალითად, ***ქ. საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩაზე*** ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობისას ტენდერში გამარჯვებული შპს „G-ლაინი" ხარვეზებით აწარმოებდა სამუშაოებს. კერძოდ, გზის გასწვრივ არხთან მდებარე ჯებირი ვერ მოაწყო სათანადოდ. მან ჯებირის ძელების დასამაგრებლად გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები ბეტონი გამოიყენა. სამუშაოების მიმდინარეობისთანავე მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები, მშენებელს მიეცა გაფრთხილება და განესაზღვრა კონკრეტული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

სოფელ მანავში ინდმეწარმე ***„როინი ფირყულაშვილი"*** საბავშვო ბაღისთვის საწვიმარ ღარებსა და საწვიმარ მილებს ამონტაჟებდა. მიუხედავად იმისა, რომ მან მოგვმართა თხოვნით, ვადის ამოწურვამდე შეგვეფასებინა მათ მიერ შესრულებული სამუშაო და დაგვეთვალა მოცულობები, აღმოჩნდა, რომ სამუშაო არ იყო სათანადოდ შესრულებული.

სოფელ შიბლიანში შპს „სამშენებლო კომპანია-მაგისტრალი" აწარმოებდა ასფალტის საფარის მოწყობას. ჩვენი სამსახურის სპეციალისტებმა დააფიქსირეს, რომ 0-40-იანი ფრაქციის მაგიერ ხდებოდა უფრო მსხვილი 0.70მმ ფრაქციის შეტანა.

ნინოწმინდაში ინდმეწარმე „გიორგი ხომიზური"-მა მოაწყო სკვერი. შემოწმებისას დადგინდა, რომ სამუშაოები უხარისხოდ იყო ჩატარებული.

სოფელ მარიამჯვარში ხორციელდებოდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები (შემსრულებელი ინდმეწარმე „როინ ფირყულაშვილი"). სამუშაოების მიმდინარეობისას გამოირკვა, რომ წყლის მილი არ იყო ჩადებული თხრილში სათანადო სიღრმეზე.

ქ. საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობისას (სამუშაოებს შპს „სამშენებლო კომპანია-მაგისტრალი" აწარმოებდა) არმატურის მოწყობის პროცესში შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ არმატურებს შორის დაშორება უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს პროექტით იყო განსაზღვრული.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ***ქურდიანის ქუჩაზეც***, სადაც სამუშაოებს ასრულებდა შპს „G-ლაინი".

სოფელ ბადიაურში საბავშვო ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილს" მიეცა შენიშვნა – აქ ღებვა განხორციელდა უხარისხოდ. აქ გამოყენებული იქნა საჯარიმო სანქცია.

შპს „ოსტატი-2009" ***გიორგიწმინდის*** საექიმო ამბულატორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებდა. თუმცა აქ გამოყენებული საღებავის და მეტალოპლასტმასის ფანჯრების ხარისხი არ შეესაბამებოდა სტანდარტებს.

სოფელ უდაბნოში სპორტდარბაზის შეკეთების სამუშაოების შესრულებისას (ინდმეწარმე „ზურაბ დევდარიანი"), რომელიც ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში მიმდინარეობდა, შენობის სახურავი უხარისხოდ იყო შესრულებული და არ ჯდებოდა იმ მოცულობებსა და სტანდარტებში, რაც მითითებული ჰქონდა მშენებელს.

წყაროსთავში ინდმეწარმე „გიორგი ტოპეშაშვილის" მიერ წყლის რეზერვუარების კოროზიისაგან დამცავი საღებავით შეღებვისას, რეზერვუარების საკმაოდ დიდი მონაკვეთები საღებავის გარეშე იყო დარჩენილი.

გომბორში შპს „ჯაბა XX"-ის მიერ სასაფლაოს შემოღობვისას პროექტით გათვალისწინებული მესერი არ აღმოჩნდა საკმარისი მთლიანი ტერიტორიის შემოსაღობად, ჩვენი შემოწმებისა და მითითების შემდეგ აქ სრულად იქნა შემოღობილი ტერიტორია (ეს მცირე ჩამონათვალი, რაც მოვიყვანეთ).

რა მაგალითებიც აქ მოვიყვანე, ყველა სამუშაო, ყველა გამოვლენილი ხარვეზი სათანადოდ იქნა შესწავლილი, გაანალიზებული და მშენებლებისათვის მიცემული იქნა ხარვეზების გამოსწორების უმოკლესი ვადა. ჩვენი განმეორებითი შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მშენებლების მიერ ყველა მითითება იყო გათვალისწინებული, ყველა ხარვეზი – გამოსწორებული.

– ჩვენ ვისაუბრეთ გარკვეულ მაგალითებზე, როცა თქვენი სამსახურის სპეციალსტთა მიერ მოხდა ამა თუ იმ სამშენებლო ობიექტის შემოწმება-მონიტორინგი, იქნებ კონკრეტულად განვიხილოთ ეს საკითხი?

– დიახ. ასე მაგალითად, ***სოფელ კაზლარში*** შპს „თერგი" (დირექტორი გელა არეშიძე) „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ახორციელებდა პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა სოფელში სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობო შენობის სამშენებლო სამუშაოებს. სამუშაოების წარმოებისას გამოიკვეთა, რომ ხარჯთაღრიცხვის I პუნქტში, ნაცვლად იმისა, რომ დამუშავდეს მესამე კატეგორიის გრუნტი, ექსკავატორით სამშენებლო მოედნისათვის პროფილის მისაცემად და მისი დატვირთვით ავტოთვითმცლელებზე, საჭირო იყო განხორციელებულიყო 24მ3 ბალასტის შემოტანა. 8 პუნქტში – 8,1 მ3 ბეტონით საძირკველი და ზეძირკვლის მოწყობის ნაცვლად საჭირო იყო 6მ3 ბეტონით მოწყობილიყო საძირკველი და ზეძირკველი, ხოლო მორჩენილი 2,4 მ3 ბეტონით საჭირო იყო სარინებლის მოწყობა.

მეორე მაგალითი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ***სოფელ მანავში*** საბავშვო ბაღის შენობაზე ჟოლობების მოწყობის სამუშაოებს ასრულებდა ინდმეწარმე „როინი ფირყულაშვილი". სამუშაოების წარმოებისას გაირკვა, რომ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო: შენობის პერიმეტრზე სახურავიდან თუნუქის ნაწილობრივი მოხსნა; დამატებით კოჭების მოწყობა; თუნუქის ისევ ძველ ადგილას მოწყობის სამუშაოების ჩატარება. შემოწმებისას კი გავარკვიეთ, რომ შეუძლებელი იყო აქ ხის კოჭებზე წვიმისა და თოვლის წყლის საწრეტი ღარების (ჟოლობების) დამაგრება. საჭირო იყო შენობის პერიმეტრზე არსებულ კოჭებზე მოწყობილიყო დახერხილი ხის მასალით ე.წ. შუბლი, რომელიც შეიფუთებოდა თუნუქით და მასზე დამაგრდებოდა ე.წ. ჟოლობები. ეს კი გააუმჯობესებდა როგორც აღნიშნული კონსტრუქციის მდგრადობას, ასევე, შენობის ვიზუალურ ხედს. ამის გამო, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ არ ჩატარებულიყო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული – №1,2,3,5 პარაგრაფით გათვალისწინებული სამუშაოები და მათ ნაცვლად შესრულებულიყო სხვა მოცულობის სამუშაოები: „შუბლის" ფიცრის მოწყობა მთელ პერიმეტრზე 0.54მ3, მოთუთიებული თუნუქის მოწყობა შუბლის ფიცარზე 120გრ/მ, არსებული კოჭების დაფარვა პროფილური თუნუქით 120გრ/მ, ინვენტარული ხარაჩოს მოწყობა სამუშაოების ჩასატარებლად.

– ეს ცვლილებები რა თქმა უნდა, გამოიწვევს ხარჯთაღრიცხვის ღირებულების შეცვლას...

– მინდა გითხრათ, რომ ეს ცვლილებები უმეტეს შემთხვევაში არ იწვევს ხარჯთაღრიცხვის ღირებულების ცვლილებას.

– მაგრამ იწვევს ჩასაბარებელი ობიექტის ვადების გადაწევას...

– არც ეს ხდება ხშირ შემთხვევაში.

– მაგრამ, ხომ არსებობს რაღაც, რაც აღარ გამოიწვევს ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანას, ან შეიძლება ეს ცვლილებები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ხშირად თავად ტენდერში გამარჯვებული მშენებლისგან მსმენია, რომ ხარჯთაღრიცხვა სწორად არ არის თავიდანვე გაკეთებული, არის იქ ცდომილებები, სერიოზული შეცდომები. არის თუ არა შესაძლებელი, რომ ხარჯთაღრიცხვა გააკეთოს კომპეტენტურმა პიროვნებამ? გავიხსენოთ, როცა უდაბნოს საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო, ნახევარ საქართველოს უხაროდა, მაგრამ, რა?! ხარჯთაღრიცხვაში იმდენი შეცდომა, იმდენი გამორჩენილი ნიუანსი იყო, რომ დაწესებულების გახსნამ რა ვადით გადაიწია, გაიხსენეთ...

– ხარჯთაღრიცხვას აკეთებს ტენდერში გამარჯვებული იურიდიული პირი, ასე, რომ ამ საკითხზე პასუხის გაცემა ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება...

– 2016 წელს სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ამდენი უზუსტობების გამო, იქნებ სჯობდეს ეს საკითხი ერთობლივად განვიხილოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიასთან ერთად, ერთად შეიმუშაოთ რაღაც „ნიშნული", რომლის მიხედვითაც ხარჯთაღრიცხვის შედგენის შემდეგ პასუხისმგებელ პირს პასუხი მოეთხოვება კანონის ფარგლებში და არა ის, რომ ხშირად მოსახლეობა ასეთ

დასასრული მე-6 გვერდზე

საახალწლო საჩუქრები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 8 მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრნენ, ტკბილეული გადასცეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი, *სოციალური განყოფილების უფროსი* სოფო შაქარაშვილი** და გამგეობის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის" ბენეფიციარებს და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მოქალაქეებს ესტუმრნენ, დამდეგი შობა- ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 500-მა ბენეფიციარმა მიიღო.

ДАСАСРУЛИ

უნდა ჰქონდეს, საახალწლო სტუმარს არა რაღაც "სასურველი", არამედ აუცილებელი სტატუსი ენიჭება. ამისთვის კი ეს საკითხი წინასწარ უნდა მოაგვარო.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ ისეთებიც არიან, ცხოვრებაში კაცისთვის არაფერი რომ არ უწყენინებიათ, მაგრამ მათი სტუმრობა თუ უბრალო დანახვა ვიღაც-ვიღაცეებს ცუდად აქვთ დაცდილი. მეკვლედ, რა თქნა უნდა, ასეთ ადამიანს არ დაპატიჟებ.

"შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა", ასეთია მეკვლის დალოცვა.

სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ "ყოჩ ვაზთან" დაწურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა".

ᲐᲓᲠᲔᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ასეთი რიტუალები სრულდებოდა: საახალწლოდ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი, კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა.

საახალწლო დღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, დანთებული თაფლის სანთლებით, შედიოდა მარანში და იქ, სადაც საწნახელი იდგა, თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსი ამობრუნებულ საწნახელს თოხის ან ნაჯახის ყუას ურტყამდა და სიმღერით ღვთაებას შესთხოვდა:

"აგუნა, აგუნა გადმიარე,
ბახვი,ასკანა, გადმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი" და ა.შ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

სიმღერა სამჯერ მეორდებოდა და პატარა ტაბლას მიუსხდებოდნენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერპთთაყვანისმცემლობის დროს აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველად იყო მიჩნეული.

აგუნა-აგუნას მსგავსი წესი ჰქონდათ სამეგრელოშიც. საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში (ყურძნის საკრეფი კონუსისებური მოწნული კალათა) აწყობდნენ და გოგონას მარნისაკენ ატანდნენ. ამავე დროს, პატარა ბიჭს მარნიდან ერთი დოქი ღვინო გამოჰქონდა და გოგონას შესახვედრად მოემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, გამარჯვებულს მთელი ნადავლი მარანში შეჰქონდა, სადაც ოჯახის წევრები იყვნენ თავმოყრილნი. იწყებოდა სარიტუალო სმა-ჭამა, აქაც საწნახელს გადააბრუნებდნენ და აგუნას წლის ბარაქას ავედრებდნენ.

ჭიდილში თუ ბიჭი გაიმარჯვებდა, იმ წელიწადს პურის და ღვინის მოსავალი კარგი იქნებოდა, თუ გოგონა - აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარეების, რომელთაც ქალი უვლიდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ასეთი წესიც იყო - ახალი წლის დილას მამალს კოდავდნენ, ოჯახის უფროსი სახლს შემოუვლიდა და "ვაზის პურით", დოქი ღვინითა და დაკოდილი მამლით ვენახში მიდიოდა, სადაც უხვი მოსავლის თხოვნით ლოცვას აღავლენდა, შემდეგ ყვერულს მიწაში ჩაფლავდა, ვაზის პურს ღვინოს დააყოლებდა, ნაწილი კი მამალთან ერთად კვლავ სახლში მიჰქონდა. როგორც ჩანს, ვაზისა და მამლის ერთმანეთთან დაკავშირება, სიუხვისა და მოსავლიანობის სიმბოლოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

მთაში საქონლის დალოცვა იცოდნენ. ოჯახს რომ დალოცავდნენ, გომურში შედიოდნენ, გატეხავდნენ კვერცხს და საქონელს ტანზე უსვამდნენ, რათა იმ წელიწადს არ გაბერწებულიყო და კარგი ნაშიერი ჰყოლოდა.

იყო ასეთი რიტუალიც, როცა ხარი მდინარეზე ჩაჰყავდათ, წყალში ჩააყენებდნენ, მდინარის წყალს თვითონაც დალევდნენ და რქებზე სანთლებს აანთებდნენ. მერე სახლში შეჰყავდათ და კერას სამჯერ შემოატარებდნენ. შემდეგ მეკვლე მუგუზალს იღებდა, კერაში ურტყამდა და ნაპერწკლების ყოველ გაცვენაზე ილოცებოდა: "ამდენი ხარი, ამდენი ცხორი, ამდენი დოვლათი.." ნაპერწკალიც სიმრავლის სიმბოლო იყო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სამეფო კარის საახალწლო ეტიკეტი გამორჩეული იყო: მეფის საზეიმო შემოსვლა, მეკვლე, მილოცვები..

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, მეჯინიბეთუხუცესი მეფეს სამ ცხენს მიართმევდა, ორი სამეფო ცხენი იყო, ერთი კი - ჯაგლაგი. ჯაგლაგს კლავდნენ და ხორცს სანადიროდ შეგულებულ ადგილას ყრიდნენ, რათა სუნით ნადირი მიეტყუებინათ.

ცისკრის ლოცვის წინ, სამეფო ოჯახში ჭყონდიდელი ჯვრითა და ხატით შემოდიოდა და ის უკვლევდა. ცისკრის ლოცვის შემდეგ კი, ნადირობა იმართებოდა. ამ დღეს ნადირისთვის არ უნდა აეცდინათ და ვისაც მიზანი უმტყუნებდა, იმას წელი ცუდად წაუვიდოდა.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩიჩილაკს დგამდნენ, აღმოსავლეთში კი - ნაძვის ხეს. ნაძვი სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა, ჩიჩილაკს კი მეორენაირად ბასილასაც ეძახიან, მზის ფორმა აქვს და თავისი შინაარსით ესეც სიცოცხლეს განასახიერებს. მას ძირითადად თხილის ხისგან ამზადებენ და მერქნის ანათალების ბურბუშელას ხილითა და "ფოჩიანი კამფეტებით" რთავენ.

ჩიჩილაკის მოსართავად კუნელსაც იყენებდნენ, რომელსაც ოთახში ტყისა და ბუნების ეფექტი შემოაქვს. კუნელის წითელ მარცვლებს, მძივივით აასხამენ და ბურბუშელაზე გარშემო ახვევენ.

ჩიჩილაკის თავი ოთხადაა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამენ და ამ ჯვარზე ვაშლებს (ახლა უკვე ფორთოხლებსაც) და ბროწეულებს კიდებენ. ბროწეული სიმრავლის სიმბოლოა, ვაშლები კი, სიჯანსაღის. ზოგიერთები, უხვი წლის იმედით აბაზიანებს ჭედავდნენ და ჩიჩილაკზე ჰკიდებდნენ.

ჩიჩილაკზე გაპუტულ ყვინჩილასაც კიდებენ, რომელსაც ბოლოსა და ფრთებზე ბუმბულები აქვს დატოვებული.

იმერლები ჩიჩილაკს ენდროთი წითლად ღებავდნენ. არსებობს გურული ე. წ. კალპიანი ჩიჩილაკიც.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲣᲤᲠᲐ

ᲠᲐᲪ შეეხება საახალწლო სუფრას. ძველი ქართული საახალწლო სუფრა ნამდვილად არ იყო ისეთი უხვი და მრავალფეროვანი, როგორც დღევანდელი, მაგრამ ასეთ სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა საქართველოს ცალკეული კუთხეების გასტრონომიული ტრადიციები და ზოგადად სუფრის ფენომენისადმი დამოკიდებულება.

დავით კობიძე, ეთნოგრაფი: "იმერეთი თავისი სამზარეულოთი ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან და ეს საახალწლო სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა. მხალეულობისა და საკმაზის მრავალფეროვნება და ხორცეულის მეტად ორიგინალურად დამუშავების ცოდნის გამო, იმერული სუფრა რაც არ უნდა ღარიბული ყოფილიყო, მაინც გემრიელი იქნებოდა. მთაში ძირითადად ხორცეულისაგან ამზადებდნენ კერძებს, უმეტესად ყოველგვარი საკაზმის გარეშე და იქაურ სუფრას ნამდვილად აკლდა მრავალფეროვნება. ქართლ-კახეთში საშობაოსაახალწლო სუფრის მშვენებად ითვლებოდა (და სხვათა შორის, დღესაც ითვლება) ნაზუქები. სამეზობლოში რომელი ქალიც ყველაზე კარგ ნაზუქებს დააცხობდა, მომავალ წელს ლხინისა თუ ჭირის სუფრებზე სწორედ ის ქალი ინიშნებოდა ქალების ხელმძღვანელად და მთავარ მზარეულად. მეგრულ საახალწლო სუფრაზე ტრადიციული კერძების გარდა, (დომი, ელარჯი, გებჟალია და სხვა..) აუცილებლად კეთდებოდა რაიმე უცხო, მეგრული სუფრისათვის ნაკლებად დამახასიათებელი საჭმელი. ეს სუფრას განსაკუთრებულ ლაზათს აძლევდა".

ახლა რაც შეეხება სასმელს. ძველქართულ საახალწლო სუფრაზე ღვინო აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ცნობილი ამბავია, რომ სვანები, მთიულები, ფშავლები და სხვა მთაში მცხოვრები ქართველები, ახალი წლის წინა დღეებში ბარში ჩადიოდნენ ღვინის საყიდლად, რადგან უბრალოდ არ არსებობდა საახალწლო სუფრა ღვინის გარეშე. მთაში რა თქმა უნდა, სუფრაზე ლუდიც იყო და არაყიც.

ᲨᲝᲑᲐ

ᲨᲝᲑᲘᲡ ღამეს მთელ სამყაროში დიდი სასწაულები მოხდა. მაცხოვრის დაბადებისთანავე გამოქვაბულში უეცრად პირდაპირ ქვიდან წყარომ ამოხეთქა. მისგან შორს, რომში მიწიდან სურნელოვანმა ზეთმა იწყო დენა და მდინარის წყალს შეერია. წარმართული ტაძარი, რომელსაც მარადიულს ეძახდნენ, დაინგრა, მასში მდებარე კერპები დაიმსხვრა, ცაზე კი სამი მზე გამოჩნდა. ესპანეთში იმ ღამეს ცაზე თვალისმომჭრელად მბრწყინავი ღრუბელი გაჩნდა. ისრაელში, მიუხედავად ზამთრისა, ვაზი აყვავდა, ხოლო ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ და ქრისტეს შობა აუწყეს.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ – ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲛᲝᲡᲝᲛᲔᲑᲘᲐ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲣᲓᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲨᲐᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲗ:

„ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ – მკვდარი სისხლია. ეს ყველამ იცის. ხომ ასეა? შეიძლება ჩავატაროთ ფარაონთა და მათი მუმიების სისხლის ანალიზები, შეიძლება სხვადასხვა რამის გაკეთება, მაგრამ შეუძლებელია ქრომოსომებზე ანალიზის ჩატარება იმ მეთოდებით, რაც ჩემთვის ცნობილია. რასაკვირველია, ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ვიცი – სამყარო ხომ ვითარდება, მაგრამ მე ვიცი, რომ მკვდარ სისხლზე ქრომოსომული ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. შეიძლება დნმ–ის აღება, მაგრამ არა ქრომოსომების რაოდენობის დაზუსტება – ეს მხოლოდ ცოცხალი, თეთრი სისხლის უჯრედებზე კეთდება. ასე რომ, ამ ანალიზის ჩასატარებლად მე მივიტანე ეს სისხლი ისრაელის ერთ–ერთ ლაბორატორიაში, რადგან მანამდე გავიკითხე და მითხრეს, რომ სწორედ ეს ლაბორატორია იყო კარგი და სანდო.

მე ვუთხარი მათ: „გთხოვთ, ჩაატარეთ ამ სისხლის ანალიზი და მითხარით მასზე ყველაფერი, რის თქმასაც შესძლებთ“. მათ მიპასუხეს: „კარგით, ჩვენ მას აღვადგენთ, მარილწყალში ჩავდებთ 72 საათის განმავლობაში, სხეულის ტემპერატურით, ცოტა ხანს მოვურევთ“. – ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. მე ვთხოვე მათ, რომ დავესწრებოდი ანალიზის ჩატარების პროცესს, რაზეც დამთანხმდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მათ მითხრეს: „ეს ადამიანის სისხლია. ყველანაირი ანალიზი ჩავატარეთ და დავადგინეთ“. მე ვთხოვე, აეღოთ სისხლის თეთრი უჯრედები, ემყოფებინათ ისინი გაზრდისთვის ხელსაყრელ გარემოში, სხეულის ტემპერატურის მიხედვით, 48 საათის განმავლობაში. მათ მითხრეს, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან სისხლი მკვდარი იყო. მე მათ ვთხოვე, გაეკეთებინათ ეს ჩემთვის და მიპასუხეს: „კარგი, გავაკეთებთ“. მე ვთხოვე და დავრჩი იქ იმ დროს, როცა ამ სისხლის ხელახალი შესწავლა დაიწყეს – მივედი კიდეც და ვნახე, როგორ ათვალიერებდნენ მიკროსკოპის ქვეშ. უცებ, ერთმა თანამშრომელმა მეორეს დაუძახა, მერე დაუძახეს უფროსს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ივრითზე საუბრობდნენ, მერე კი მე შემომხედეს და მითხრეს:

„მისტერ უაიტ, ამ სისხლში მხოლოდ 24 ქრომოსომაა!“

ყოველ ჩვენგანს აქვს 46 ქრომოსომა: 23 დედისგან და 23 მამისგან. მათგან 22 აუტოსომა დედისგან და 22 მამისგან, პლუს X ქრომოსომა დედისგან და Y ქრომოსომა მამისგან. ამ სისხლში კი იყო 23 ქრომოსომა დედისგან და არც ერთი მამისგან.

ბავშვი ვერ შეძლებს განვითარებას, თუ არ ექნება აუტოსომები დედისგან. მისი ყველა ფიზიკური მახასიათებელი მხოლოდ დედის მხრიდან განისაზღვრებოდა, დედის აუტოსომებით. მამრობითი სქესი კი ერთი, ქრომოსომით განისაზღვრებოდა, რომელიც არ იყო ადამიანისგან მიღებული.

შემდეგ მათ თქვეს: „ეს ცოცხალი სისხლია“ და მკითხეს: „ვისია ეს სისხლი?“

მე კი ვუპასუხე: „ეს თქვენი მესიის სისხლია“

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ?

"ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ახალი წლის შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: ყველაზე მეტად გულს მტკენს ის თამაშები, ახალ წელს რომ იმართება...რადგან ამ თამაშის მონაწილეები ფიქრობენ და ჰგონიათ, რომ თუკი წლის პირველ დღეს მხიარულებასა და სიამეში გაატარებენ, მთელი წელი ასეთივე იქნება. ყოველმხრივ ბედნიერი წელი მაშინ კი არ იქნება, თუ ახალი წლის პირველ დღეს უგონოდ გამოთვერი, არამედ თუ პირველ დღესაც და სხვა დღეებშიც ღვთივსათნო საქმეებს აღასრულებ. ხოლო თუ უფლისთვის სათნო საქმეებს დაიზარებ და თვის დასაწყისიდან ყოველდღე ბედნიერების მოლოდინში უსაქმოდ იქნები, ვერანაირ სიკეთეს ვერ მიიღებ. ამგვარი საქციელი შეუთავსებელია ქრისტიანულ სიბრძნესთან.

როგორია ხარისხი

ინფრასტრუქტურული პროექტები-2016

ის, რაც გამოსწორებადია

ყოველ ორ დღეში ერთხელ ჩვენი სამსახურის სპეციალისტები ამოწმებენ მყარი ნარჩენების ურნებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობას. ყოველი აღმოჩენილი დარღვევის შემდეგ რეაგირებისათვის მივმართავთ დასუფთავების სამსახურს – შპს „პროგრესი-2011“-ს.

აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ჯერ-ჯერობით არ გააჩნია ბაზრის შენობა, ამიტომ ჩვენ გარემოვაჭრეებთან ლოიალურ დამოკიდებულებას ვიჩენთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვახერხებთ დავიცვათ წესრიგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და საფეხმავლო ბილიკები გადატვირთვისაგან.

– წელი-2017. რას გპირდებათ თქვენი სამსახურის თანამშრომლებს?

– ჩვენი სამსახური სულ ოთხი შტატით და ორი ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლით განისაზღვრება. ამ რამდენიმე ადამიანის მიერ იქნა მიღებული 41 მშენებლობადამთავრებული ობიექტი ექსპლუატაციაში. ამასთან, ჩვენს სამსახურს კიდევ სხვა უამრავი ფუნქცია და პასუხისმგებლობა აკისრია. ასე, მაგალითად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვა. აქ იგულისხმება შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა კარადებისა და ჭების, საქალაქო მეურნეობების და სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკური მდგომარეობის გაკონტროლება, ასევე ჩვენი კომპეტენციის ფარგლებშია მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის ფაქტების გამოვლენა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ღონისძიებების გატარება, კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან დამონტაჟებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ კონტროლი და ა.შ.

ახალი წელი ახალი პასუხისმგებლობით, სასიკეთო საქმეების კეთების ახალი მოთხოვნებით მოდის. ჩვენს მუშაობაში ახალი, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები გვჭირდება, რაზედაც ალბათ ხელს შეგვიწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ჩვენც არ დავზოგავთ ჩვენს გამოცდილებას, უნარს და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენს სამსახურზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესასრულებლად.

– წარმატებებს გისურვებთ.



<u>დასასრული</u>

შემთხვევაში თითს გამგეობისაკენ, საკრებულოსაკენ და სამუშაოს შემსრულებლისაკენ იშვერს...

– დაიწყო წელი ახალი და ვიმედოვნებ ყველა ახლებურად მივუდგებით ამ საკითხის და სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

– დღეს რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს, რაზედაც თქვენი სამსახური ახორციელებს კონტროლს?

– ამ ეტაპზე ჩვენი სამსახურის ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს მუნიციპალური ბაზრის მშენებლობა (თამარ მეფის ქუჩაზე), რომელსაც შპს „ჰორიზონტი“ (დირექტორი ალექსანდრე ხუხუნაიშვილი) აწარმოებს.

– მშენებლობის შემოწმების გარდა, კიდევ რა მიმართულებით გიხდებათ ინტენსიური მუშაობა?

– ყოველ 2 დღეში ჩვენი სამსახური ანხორციელებს გარეგანათების მონიტორინგს და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ოპერატიულად გადასცემს ინფორმაციას არსებულ დაზიანებებზე. ამასთან, ჩვენ ვაწარმოებთ კონტროლს, რამდენად ოპერატიულად აღმოფხვრა ესა თუ ის ხარვეზი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ.

ასევე ზედამხედველობა ხორციელდება დასუფთავების მიმართულებითაც.

საახალწლო საჩუქრები

მშობლიურ კერაზე აღნიშნეს ახალი წელი

სოფელ სათაფლეს (გამგებლის წარმომადგენელი ემზარ გორგილაძე) 22 მოზარდს, რომლებიც მშობლიური სოფლიდან ოჯახთან ერთად დროებით სხვა სოფლებში ცხოვრობენ, ტრადიციად აქვთ – ყოველი ახალი წლის წინა დღეს სოფელს დაუბრუნდნენ და ერთად აღნიშნონ ახალი წელი. ახლაც, სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა საახალწლო ზეიმი, ჰყავდათ თოვლის პაპა და ფიფქია. მოზარდებს გადაეცათ ტკბილეული – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩუქარი.



განცხადება

2017 წლის 22 თებერვალს 12 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ №9), გაიმართება შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“ – ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 1000მ3 ტევადობის 2 ახალი რეზერვუარის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 2 ახალი 1000 მ3 ტევადობის რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

* საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქუჩა №9;

* შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კოსტავას გამზირი №70;

შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე

** შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“-ს ადმინისტრაცია*

2017 წელი

იანვარი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

თებერვალი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	
ხუთშაბათი	2	9	16	23	
პარასკევი	3	10	17	24	
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

მარტი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	31
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

აპრილი

ორშაბათი		3	10	17	24
სამშაბათი		4	11	18	25
ოთხშაბათი		5	12	19	26
ხუთშაბათი		6	13	20	27
პარასკევი		7	14	21	28
შაბათი	1	8	15	22	29
კვირა	2	9	16	23	30

მაისი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	31
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

ივნისი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	
კვირა	4	11	18	25	

ივლისი

ორშაბათი		3	10	17	24	31
სამშაბათი		4	11	18	25	
ოთხშაბათი		5	12	19	26	
ხუთშაბათი		6	13	20	27	
პარასკევი		7	14	21	28	
შაბათი	1	8	15	22	29	
კვირა	2	9	16	23	30	

აგვისტო

ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	31
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

სექტემბერი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	

ოქტომბერი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

ნოემბერი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

დეკემბერი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	

2017 წელი





იანვარი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

თებერვალი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	
ხუთშაბათი	2	9	16	23	
პარასკევი	3	10	17	24	
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

მარტი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	31
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

აპრილი

ორშაბათი		3	10	17	24	31
სამშაბათი		4	11	18	25	
ოთხშაბათი		5	12	19	26	
ხუთშაბათი		6	13	20	27	
პარასკევი		7	14	21	28	
შაბათი	1	8	15	22	29	
კვირა	2	9	16	23	30	

მაისი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	31
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

ივნისი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	
კვირა	4	11	18	25	

ივლისი

ორშაბათი		3	10	17	24	31
სამშაბათი		4	11	18	25	
ოთხშაბათი		5	12	19	26	
ხუთშაბათი		6	13	20	27	
პარასკევი		7	14	21	28	
შაბათი	1	8	15	22	29	
კვირა	2	9	16	23	30	

აგვისტო

ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	31
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

სექტემბერი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	

ოქტომბერი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

ნოემბერი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

დეკემბერი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru